კომისის სამუშაო ანგარიში

2013 წლის 13 ივნისს პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის მორიგი შეხვედრა შედგა. როგორც მოგეხსენებათ, კომისია 2012 წლის 14 დეკემბრიდან მუშაობს და გაიხილავს განათლების სფეროში დასაქმებულ იმ პიროვნებათა განცხადებებს, ვინც თვლის რომ მათი სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა მათივე პოლიტიკური შეხედულების გამო.

კომისიის მუშაობა ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. ამ დროისათვის მან უკვე დაასრულა მომართვების პირველადი განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო თითოეულ წერილზე(იხ. ცხრილი #1).



- რიგ შემთხვევებში მომართვას დაუდგინდა ხარვეზი და მომართვის ავტორს ეთხოვა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა 10 დღიან ვადაში;
- განცხადებათა გარკვეული რაოდენობა გადაეცა განათლებისა და ეცნიერების სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტს შესწავლისა და შემდგომი რეაგირებისათვის;
- განცხადებების მცირე ნაწილი არ განეკუთვნებოდა კომისიის კომპეტენციას - საქმე არ ეხებოდა საგანმანათლებლო რესურსცენტრიდა ან საჯარო სკოლიდან გატავისუფლების ფაქტს; ან აღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდა 2006 წლის 1 იანვრამდე;
- ნაწილი განცხადებებისა წარმოდგენილი იყო მეტ-ნაკლებად სრული სახით, რომლებიც კომისიის გადაწყვეტილებით არსებით განხილვას დაექვემდებარა - აღნიშნულ მომართვებს კომისიის წევრები დეტალურად შეისწავლიან და დაიბარებენ განმცხადებელს/მოწმეებს გასაუბრებაზე;

მომართვის ავტორის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე, გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციასა და მოწმეების ჩვენებებზე დაყრდნობით კომისია მიიღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, სამინისტროსთვის რეკომენდაციით მიმართვის თაობაზე;
- პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდის არარსებობის თობაზე.